საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2991-02
01/12/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 1 სექტემბრის N22 და 2016 წლის 1 დეკემბრის N25 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2016 წლის 1 დეკემბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი, კერძოდ:

ა) **ასტრონომია-ასტროფიზიკის მიმართულებით** ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას **ბიძინა კაპანაძე;**

ბ) **გეოფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას **ია შენგელია;**

გ) **გეოგრაფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას **ზურაბ ჯანელიძე.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი